საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-27/3156
22/08/2025

3156-27-2-202508221617

შპს „პრიმე ბიტ“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 448428737)
დირექტორს, ბატონ დანიელ გრიცაენკოს,
მის.: საქართველო, ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას #6 სართული 1 ბ.#1

ბატონო დანიელ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის მიზნით თქვენ მიერ 2025 წლის 9 ივნისს წარმოდგენილ განაცხადსა და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკის 2025 წლის 2 ივლისს N 2-27/2450 წერილით მოგეთხოვათ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 13 ივნისის №94/04 ბრძანებით დამტკიცებული „ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის“ (შემდგომში - „რეგულირების წესი“) მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული და დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე. ამასთან, მითითებული წერილით, რომელიც კანონით დადგენილი წესით ჩაგბარდათ 2025 წლის 15 ივლისს, ხარვეზების აღმოსაფხვრელად და დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რეგულირების წესის მე-3 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, განგესაზღვრათ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე. გაცნობებთ, რომ მოცემული ვადა ამოიწურა 2025 წლის 14 აგვისტოს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეგულირების წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „პრიმე ბიტ“-ს ეთქვა უარი ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციაზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 52^5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია ვირტუალური აქტივის მომსახურების იმ პირის მიერ განხორციელება, რომელიც არ არის ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი ან საფინანსო სექტორის წარმომადგენელი, რომელსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება.

წინამდებარე გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ჯელაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი